ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

Красноармейская газета Закавказского фронта «Боец РККА» на грузинском языке

სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

# მებრძოლი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის

ოთხშაბათი 11 აგვისტო 1943 წ.
№ 59

## ვასწავლოთ ჯარებს ტანკებთან ბრძოლა

ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდ-კურსკის მიმართულებებზე ბრძოლების გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ გერმანელები ზაფხულის შემოტევის დროს იმედს წინანდებურად ისევ თავიანთ ტანკებზე ამყარებდნენ.

მტრის ტანკების ახალი მასირებული იერიშები ჩვენი მებრძოლებისა და ოფიცრებისათვის მოულოდნელობას როდი წარმოადგენდა. უშიშარი მეომრები საკადრისად დაუხვდნენ მტერს ყველა სახის იარაღის ცეცხლით. მარტო 5 ივლისიდან 6 აგვისტომდე ჩვენმა მებრძოლებმა 4.505 ტანკი გაუნადგურეს გერმანელებს. ბრძოლების გამოცდილებიდან ცნობილია მაგალითები, როცა გერმანელთა ტანკებმა რამდენჯერმე გადაუარეს ჩვენი ნაწილების სანგრებს, მაგრამ გამარჯვება ჩვენ გვრჩებოდა. მსროლელები მტრის ქვეით ჯარს სწყვეტდნენ ტანკებისაგან და მუსრავდნენ მას ყველა სახის იარაღის ცეცხლით. ამასთანავე ისინი წარმატებით აზიანებდნენ და სწვავდნენ ჯავშნიან მანქანებს ქვეითი ჯარის ეფექტიანი საშუალებებით: ტანკსაწინაღო თოფებით, საწვავსითხიანი ბოთლებით, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით, ტანკსაწინაღო გრანატებითა და გრანატების კონებით.

ჩვენი ჯარების ახალი სასახელო გამარჯვება — ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლება, რაც აღნიშნულ იქნა უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებით, ჩვენი ჯარების წარმატებითი წინსვლა ბრიანსკისა და ხარკოვის მიმართულებებზე აგრეთვე მოწმობს, რომ ჩვენი მებრძოლები სულ უფრო და უფრო მეტ უნარს იჩენენ მტრის ტანკის მოსპობის საქმეში.

მტერს უდიდესი ზარალი მოუვიდა, მაგრამ გერმანელთა არმია ჯერ კიდევ არაა განადგურებული. მტერი თავისი ტანკების იმედით კიდევ ეცდება მოაწყოს ახალი შეტევა.

აი ამიტომ, ახალი ბრძოლებისათვის ქვედანაყოფის მზადებისას, პირველ რიგში გერმანული ტანკების განადგურება უნდა ვასწავლოთ რიგით და სერჟანტთა შემადგენლობას.

მაგრამ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ყველგან როდი ექცევა ჯეროვანი ყურადღება. ლეიტენანტ ტარანის ასეულის პირად შემადგენლობას ტაქტიკურ მეცადინეობაზე თან არ ჰქონდა კუნძურა-გრანატების კონები, სასწავლო ტანკსაწინაღო გრანატები, საწვავსითხიანი ბოთლები და ტანკებთან ბრძოლის სხვა საშუალებანი. ეს ოდნავადაც არ აწუხებდა ასეულის მეთაურს. როცა მომგერიებელთა ტანკები საფარიდან უეცრად გამოეშვნენ კონტრიერიშზე ქვეით ჯართან ერთად, ტარანის მებრძოლები ჩაწვნენ და უმოქმედოდ იყვნენ. ტანკების სპეციალური გამანადგურებლები არ დაუნიშნავთ, ასეულისათვის მიკუთვნებული ჯავშანმტერეველები ცეცხლს არ უშენდნენ, კორაც კი არ დაუყენებიათ. უფრო მეტიც. ასეულის მებრძოლები არ სანგრდებოდნენ, ჯეროვნად ვერ ათვისებდნენ ტანკებთან ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კანონს: რაც შეიძლება ღრმად უნდა ჩასანგრდე და ყოველი საშუალებით ანადგურო მტრის მანქანები და მის კვალდაკვალ მომავალი ქვეითი ჯარი.

შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის შერიგება.

ფრონტის ოფიცერთა პირდაპირი მოვალეობაა უმოკლეს ვადაში ასწავლოს რიგითსა და სერჟანტთა შემადგენლობას გერმანელთა ტანკების განადგურება. მტრის ტანკების განადგურების სწავლების დროს მებრძოლებს უნდა მოვთხოვოთ, რომ ღრმად სანგრდებოდნენ, გულმოდგინედ აკეთებდნენ საფრებს, უშენდნენ ფლანგებიდან და სროლას იწყებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ტანკის ვნებადი ადგილების დაზიანება მოსახერხებელია. უნდა ვეცადოთ, რომ ტანკები ახლო მანძილზე მოვუშვათ და დავუშინოთ: ქვემეხები 200 მეტრ და უფრო ახლო დისტანციიდან, ხოლო ტანკსაწინაღო თოფები 100 მეტრზე. გენერალ-ლეიტენანტმა ჩუიკოვმა თავის წერილში „როგორ უნდა ვიმოქმედოთ შეტევაში" მკაფიოდ დაგვიხატა, თუ რა ამოცანები ეკისრება ქვეით მებრძოლს მტრის ტანკების შემოტევის დროს: ტანკების შემოტევის გამო არ „შედრკე, ტანკებს არ გაექცე: სულ ერთია ვერ გაექცევი, ჩაჯექ სანგარში ან ნაყუმბარევში და გრანატითა და საწვავსითხიანი ბოთლით ანადგურე ჯავშნიანი მანქანები, ქვეითი ჯარი კი თოფის ცეცხლით ქლიტე. ეცადე მიწას გააკრა მტრის ქვეითი ჯარი, მოსწყვიტო იგი ტანკებს და მოსპო. არც მაშინ შეშინდე, თუ ტანკებმა შენს სანგარს გადაუარონ: მათ შენი ამხანაგი არტილერისტები და ჯავშანმტერეველები გაუსწორდებიან".

ეს მოთხოვნები კანონად უნდა გავიხადოთ ჩვენი ქვეითების აღზრდის საქმეში.

## სამამულო ომის გმირი ლეიტენანტი ა. ჩორნი



ჯავშნიანი მატარებელი „კუზბასის მეტალურგი" დარ-კოხისა და არლენის სადგურებს შორის პატრულობდა. მოულოდნელად მატარებლისაგან 600 მეტრის მოშორებით 100 გერმანული ტანკი გამოჩნდა. ჯავშნიანი მატარებელსა და მტრის მანქანებს შორის საარტილერიო დუელი გაიმართა. მტრის ერთ-ერთმა ყუმბარამ დააზიანა მეხრეები და ორთქლმავლის ქვაბი. მაგრამ მამაცი მეომრები დაზიანებულ ნაწილებს აწორებდნენ, მატარებელი მოძრაობას განაგრძობდა და კვლავ უშენდა ქვემეხებს ფაშისტურ მანქანებს.

მალე ყუმბარა მოხვდა ჯავშანს, რომელიც ქვემეხს ფარავდა. ყუმბარის ნამსხვრევებმა მწყობრიდან გამოიყვანა ქვემეხის გუნდის ორი მებრძოლი. ხოლო მემიზნე სერჟანტი ჩორნი დაიჭრა. მაგრამ ამხ. ჩორნი თავის ადგილზე დარჩა, ძლიერ ტკივილს იტანდა და სროლას განაგრძობდა.

ამასობაში გერმანულ ტანკებმა, რომელნიც ჯავშნიანი მატარებლისათვის გზის მოჭრას ცდილობდნენ, მიწაყრილზე გადაიარეს. მემიზნე ჩორნი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა მტრის მოქმედებას. აი ერთ-ერთმა მანქანამ მიწაყრილი გადალახა. მაგრამ მემიზნის ზუსტი ხელით გამოშვებულმა ყუმბარამ ტანკი დააზიანა და შავ კვამლში გახვეული ძირს დაეშვა. ამის შემდეგ გამოჩნდა ორი ტანკი, მაგრამ იმათაც ის ბედი ეწიათ, რაც პირველს.

სერჟანტმა ჩორნიმ პირდაპირი დამიზნებით ოთხი გერმანული ტანკი გაანადგურა. მოწინააღმდეგის ცდა — ჯავშნიანი მატარებლისათვის გზა გადაეჭრა — ჩაიშალა.

მამაცი სერჟანტის საბრძოლო ანგარიშზეა მოსპობილი 8 ფაშისტური ტანკი, 6 ავტომანქანა, 2 სათვალთვალო პუნქტი და ერთ ასეულამდე გაჟლეტილი მტრის ქვეითი ჯარი. ერთხელ ამხ. ჩორნიმ დაზვერვის დროს ხიშტით განგმირა 3 გერმანელი და ტყვედ ჩაიგდო მტრის მკორექტირებელი.

სერჟანტი ჩორნი თავდადებით იბრძოდა კავკასიის ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის და სხვ. სახელოვან შვილებთან ერთად იგი დაუნდობლად მუსრავდა ჰიტლერელ არამზადებს.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, მაღალი მხედრული ოსტატობისათვის, სერჟანტ ჩორნის ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. მამაცი არტილერისტის მკერდს ამშვენებენ სამამულო ომის II ხარისხის ორდენი და წითელი ვარსკვლავის ორდენი.

## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

### 10 აგვისტოს ოპერატიული ცნობიდან

**10 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრიანსკის მიმართულებით, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური ხოტინეცი (26 კილომეტრზე კარაჩოვის აღმოსავლეთით).**

**ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და, წინ წაიწიეს რა 8-დან 12 კილომეტრამდე, დაიკავეს 70-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის: რაიონული ცენტრი ლიპცი (20 კილომეტრზე ხარკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით), რაიონული ცენტრი სტარი სალტოვი, რაიონული ცენტრი პეჩენეგი, დიდი დასახლებული პუნქტები — ბოლშოი ბობრიკი (22 კილომეტრზე სუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით), ბორომლია, კირიკოვკა, კოზიოვკა, შაროვკა, ბოლშაია როგოზიანკა, ბოლშიე პროხოდი, ვესიოლოე, პიატნიცკოე (35 კილომეტრზე ხარკოვის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთ დონეცის დასავლეთ ნაპირზე) და რკინიგზის სადგურები — ხრიაგოვკა, კირიკოვკა, სპიცინი, გუტი, გავრიში, როგოზიანკა (22 კილომეტრზე ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით).**

**სხვა ფრონტებზე ჩვენი ჯარები ეწეოდნენ საბრძოლო დაზვერვას და საარტილერიო-ხანალმტყორცნო სროლას მოწინააღმდეგესთან.**

**9 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 35 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 84 თვითმფრინავი.**

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას.

ორიოლის ჩრდილოეთ-დასავლეთით გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა რკინიგზის უბნისათვის სადგურ ხოტინეცის რაიონში. გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს ორ ჯავშნიან მატარებელს, ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებს. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს 6 კილომეტრით და უშუალოდ მიადგნენ ხოტინეცს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. ამ დროს იმ ნაწილის ქვედანაყოფებმა, სადაც მეთაურად არის ამხ. სოლდატოვი, ხელთ იგდეს ხოტინეცის სამხრეთით მდებარე დასახლებული პუნქტი ობრაზცოვო და ზურგიდან დაარტყეს მტერს. გააფთრებულ ბრძოლებში გერმანელები განადგურებულ იქნენ. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური ხოტინეცი და განაგრძობენ უკანდახეული მოწინააღმდეგის დევნას. გერმანელთა ერთი ჯავშნიანი მატარებელი დაზიანებულ იქნა ჩვენი არტილერისტების მიერ. № შენაერთის ნაწილები, რომლებიც ორიოლის დასავლეთით მოქმედებდნენ, მძაფრი დარტყმით შეიჭრნენ გერმანელთა აეროდრომზე და ხელთ იგდეს 25 თვითმფრინავი, 5 ტანკი, 15 ქვემეხი, 1 საწყობი საწვავი და 30.000 ავიაბომბი.

კრომის დასავლეთით № შენაერთმა, დასძლია რა მტრის წინააღმდეგობა, დაიკავა თოთხმეტი დასახლებული პუნქტი. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მოსპობილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი. მოწინააღმდეგეს წაართვით 10 ტანკი, 6 ქვემეხი, 4 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი და ერთი საწყობი საომარი მასალა. სხვა უბანზე ჩვენი ჯარები, იგერიებდნენ რა გერმანელთა გააფთრებულ იერიშებს, მიადგნენ დიდ დასახლებულ პუნქტს. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში ამ უბანზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 1 პოლკამდე ქვეითი ჯარი, ხელთ იგდეს 17 ქვემეხი, 86 ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებით შეტევას.

ხარკოვის ჩრდილოეთ-დასავლეთითა და დასავლეთით საბჭოთა ჯარები, ანადგურებდნენ რა მოწინააღმდეგის მოსულ რეზერვებს, წინ მიიწევდნენ და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები.

№ ნაწილმა ღამის იერიშის შედეგად დაიკავა დიდი დასახლებული პუნქტები ბოლშოი ბობრიკი და ბორომლია (ქ. სუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით). № შენაერთის მებრძოლებმა მოსპეს 1.500-მდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 42 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 130 ტყვიამფრქვევი, 300 საზიდარი და სხვა დავლა. რკინიგზის ერთ-ერთ სადგურზე გერმანელებს წაართვით 250 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთიანად.

ხარკოვის ჩრდილოეთითა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით № შენაერთმა წინ წაიწია 12 კილომეტრამდე და დაიკავა რაიონული ცენტრი ლიპცი. სხვა შენაერთის მებრძოლებმა გადალახეს მდინარე ჩრდილოეთ დონეცი და გააფთრებული ბრძოლის შედეგად დაიკავეს რაიონული ცენტრები სტარი სალტოვი, პეჩენეგი და დიდი დასახლებული პუნქტი პიატნიცკოე. ჩვენი ნაწილები დაედევნენ მოწინააღმდეგეს და გაჟლიტეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანეს და მოსპეს 12 ტანკი. მოწინააღმდეგეს წაართვით 10 ტანკი, 7 თვითმავალი და 36 საველე ქვემეხი, 13 რადიოსადგური, 3 საწყობი საომარი მასალა და ერთი ნივთსაწყობი.

## ამხანაგ სტალინის ბრძანება საბჭოთა მეომრებს აღაფრთოვანებს ახალ-ახალი წარმატებებისათვის სწავლასა და ბრძოლაში



აგიტატორი უფრ. სერჟანტი ფ. ოსტაშევსკი ჯავშნიანი მანქანის ეკიპაჟს უკითხავს ამხანაგ სტალინის ბრძანებას.

ფოტო გ. კრომსკისა

# ფრონტზე წასვლის წინ

სასიხარულო ცნობა მებრძოლებს ნაშუადღევს მიუვიდათ მიწურებში. უმცროსი მეთაურები მებრძოლებს უამბობდნენ ამხანაგ სტალინის ბრძანებას წითელი არმიის მამაცი ჯარების მიერ ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლების შესახებ.

განსაკუთრებით დიდი გახარება სუფევს სამარშო ასეულებში, რომელნიც ხვალ ფრონტზე მიდიან. ბელადის ბრძანებამ აქ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მებრძოლები და მეთაურები აღთქმას სდებდნენ, რომ ორიოლელი და ბელგოროდელი მეომრებივით იბრძოლებენ.

დილადრიან პლაცებზე გაიმართა ნაწილის ყველა ქვედანაყოფთა რიგითი, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობის მასობრივი მიტინგები. პირადი შემადგენლობა სულითა და გულით მიესალმა თავიანთ ამხანაგებს და მიულოცა მათ ბრწყინვალე გამარჯვება.

— ხვალ ჩვენ ფრონტზე მივდივართ,—სთქვა ძველმა ფრონტელმა სერჟანტმა ჩემერისმა. ყველა მებრძოლთა სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ აღგზნებული ვართ ერთი წადილით: რაც შეიძლება მალე შევხვდეთ მტერს ბრძოლის ველზე, შევმუსროთ იგი ისეთივე სიმამაცით, როგორც ეს ორიოლელმა და ბელგოროდელმა ჩვენმა მეომრებმა გააკეთეს, რათა დავიმსახუროთ დიდი სტალინის მადლობა.

ჩვენ გამოუცდელნი როდი ვართ, ჩვენ კადრის ჯარი ვართ. ჩვენ მდიდარი გამოცდილება და ჩინებული მხედრული გაწვრთნილობა გვაქვს. იქ მივდივართ, სადაც მიგველიან. უკრაინაში ჩემი ოჯახი გერმანელთა მონობაშია. ვფიცავ სამშობლოს სახელს, რომ ჩემს იარაღს არ შევარცხვენ და სასტიკ ბრძოლებში შურს ვიძიებ მტერზე ჩემი ოჯახისა და ჩემი ხალხის ცრემლებისა და მწუხარებისათვის.

— საყვარელი ბელადის ბრძანება,—ამბობს ახალგაზრდა მებრძოლი ლომიძე,—გვაფრთოვანებს ახალ-ახალი წარმატებისათვის საბრძოლო მომზადებაში. ამ უკანასკნელი თვეების სწავლით ჩვენ დიდი გამოცდილება შევიძინეთ. ახლა ჩვენ ერთი მისწრაფება გვაქვს: მალე მოვხვდეთ ფრონტზე, ფრონტელნი გავხდეთ, რათა მოვსპოთ საძულველი მტერი.

ზედიზედ გამოდიან ორატორები. ისინი მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსით აღსავსე სიტყვებს ამბობდნენ. ამ სიტყვების დედააზრია: ვისწავლოთ, განუწყვეტლივ სრულვყოთ ჩვენი მეომრული დახელოვნება.

# მე ორიოლის ოლქიდან ვარ

## ამხ. სუპრინის ქვეგანაყოფის მებრძოლთა და ოფიცერთა მიტინგზე

### წითელარმიელ ა. შაჯოვის გამოსვლა

იქნებ გაგიგონიათ სოფელი გოროხოვკა, რომელიც ორიოლის ოლქში მდებარეობს?.. მე იქ დავიბადე და გავიზარდე. და აი, სრული ოცი თვეა, რაც გერმანელები ჩემს მშობლიურ სოფელს გოროხოვკას სთელავენ. იქნებ მათ [illegible] კიდევაც ის ცაცხვის ხეივანი, რომელიც გოროხოვკაში მე ყველაზე ძლიერ მიყვარდა. იმ ხეივანში ბევრჯერ მისეირნია ჩემს საცოლოსთან ერთად.

სოფელში დარჩნენ: ჩემი უმცროსი ძმა 14 წლის პეტრე და 22 წლის და — შურა, რომელიც მთელს ოლქში ცნობილი კოლმეურნე იყო. რა უყვეს მას გერმანელებმა?.. სისხლი ყელში მებჯინება, როდესაც გავიხსენებ ხოლმე მას.

ახლა კი ორიოლი ჩვენია! არ გამიკიცხოთ, თუ კი დალაგებულად ვერ მოგიყვებით. ასეთი აზრი მინდა გამოვთქვა. ახლა გერმანელებს შავი დღე დაუდგებათ. ყველაფრის გამო სამაგიეროს გადავუხდით მათ, არაფერს არ დავივიწყებთ, არაფერს არ ვაპატიებთ იმ ქვეწარმავლებს. ჩემი გოროხოვკა ორიოლიდან 150 კილომეტრზე მდებარეობს—ბრიანსკის იქით. მასში ჯერ კიდევ გერმანელები დგანან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ არა მარტო ჩემი გოროხოვკა, არამედ ასობით სხვა სოფელი განთავისუფლდება ფაშისტური სიბილწისაგან.

რომ შეიძლებოდეს ფრთებს შევისხამდი და მშობლიურ ორიოლის ოლქში გავფრინდებოდი, რათა ამხანაგებს ბინძურ ფაშისტთა ჟლეტაში მივეხმარო. თუ კი მე ფრონტის სხვა უბანზე გამგზავნიან, სულ ერთია, მაინც სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოლებ, როგორც ამას სამხედრო ფიცი მოითხოვს. და მაშინ სხვა მებრძოლები — სმოლენსკელები, კიეველები, ოდესელები, ტაგანროგელები ისევე მადლობელნი იქნებიან ჩემი, როგორც ახლა მე იმ მებრძოლთა მადლობელი ვარ, რომელთაც ჩემი მშობლიური ორიოლი გაათავისუფლეს.

# მომთხოვნელობა

გენერალ-ლეიტენანტი
ა. ხადეევი

მომთხოვნელობა უფროსის ისეთი პირადი თვისებაა, რომელიც უზრუნველჰყოფს საბრძოლო მომზადების მაღალ დონეს, ხელქვეითთა მიერ ყველა სახის სამსახურის სამაგალითო შესრულებას, მათს ორგანიზებულობას, დისციპლინასა და წესრიგს ნაწილში. იმავდროულად უფროსის ეს თვისება განსაზღვრავს მის სამსახურებრივ ღირებულებას, რადგან ცოდნა, მუშაობის უნარი, ნებისყოფა და სხვა ყველაზე მკაფიოდ ჩნდება გონივრულ მომთხოვნელობაში ხელქვეითებისადმი.

ნაწილისათვის უდიდეს ბოროტებას წარმოადგენს მისი მეთაურის შემარიგებლური დამოკიდებულება ხელქვეითთა სამსახურის სხვადასხვა ნაკლოვანებისადმი. ნაწილის ავკარგიანობა განისაზღვრება მისი მეთაურის ავკარგიანობით. ხშირად მეთაურის გარეგნობის მიხედვითაც კი შეუცდომლად შეიძლება შევატყოთ, თუ რას წარმოადგენს ნაწილი. სწორედ ამიტომ უფროსი უწინარეს ყოვლისა თავის თავისადმი უნდა იყოს მომთხოვნელი.

ცხადია, ხელქვეითს იმას ვერ მოსთხოვ, რაც თვითონ არ იცი და რისი გაკეთების უნარიც თვითონ არ შეგწევს. ამიტომ ყველა ხარისხის უფროსთა მოვალეობას შეადგენს განუწყვეტლივ იმუშაოს თავის თავზე, პრაქტიკულად ისწავლოს წესდებანი, დარიგებანი და ბრძანებანი. ასეთი მუშაობის შედეგად უფროსს უნდა ჰქონდეს ჩინებული გარეგნული შესახედაობა და სამწყობრო მოხდენილობა, ზედმიწევნით უნდა იცოდეს ნაწილის (ქვეგანაყოფის) ყველა სახეობის იარაღი, მოქმედი წესდებანი, დარიგებანი და სახელმძღვანელო ბრძანებანი.

მაგრამ ცოდნა და მიხერხებულობა ჯერ კიდევ როდია მომთხოვნელობა. მხედართუფროსმა უნდა გამოიმუშაოს ისეთი უნარი, რომ ყველაფერს ამჩნევდეს. ხშირად მხედრული მოთხოვნები შესაძლოა არ ეთანხმება შენს შეხედულებებს, ხასიათსა და ჩვეულებებს, მაგრამ უნდა შესძლო, რომ ყოველივე ეს დაუქვემდებარო სამხედრო საქმის, სამხედრო სამსახურის ინტერესებს.

არმიაში ყველაზე მავნე ფიგურას წარმოადგენს ოფიცერი—უფროსი, რომელსაც თავი ვერ დაუღწევია დემოკრატიზმის გამო ყალბი შეხედულებისათვის და რომელსაც არ ესმის, რომ „გატოლებითა“ და „გულკეთილობით“ — უფროსი მხოლოდ ასუსტებს სამხედრო წესრიგს.

ყოველგვარი ხელის შეშვება საბრძოლო მომზადებაში ზარალის გადიდებას იწვევს ბრძოლაში. მაშასადამე მებრძოლებზე ნამდვილ მზრუნველობას იჩენს არა ცრუ—დემოკრატი, რომელიც „გულკეთილობასა“ და „ლმობიერებას“ ჩემულობს, ხელს აფარებს ყველაზე უარეს დრომოჭმულ ჩვეულებებსა და მისწრაფებებს და ამით ლამობს იაფი ავტორიტეტი შეიძინოს, არამედ ის უფროსი, რომელიც მტკიცედ მოითხოვს თავისი ხელქვეითებისაგან საუკეთესო ხარისხის მუშაობას სამხედრო საქმის დასაუფლებლად.

ზოგიერთი ოფიცერი და სერჟანტი ერთმანეთში ურევს მომთხოვნელობასა და უხეშობას. სამხედრო სამსახურის მკაცრი პირობები, მეტადრე საომარ ვითარებაში, ნაკლებად უწყობენ ხელს დახვეწილი ურთიერთობის განვითარებას და ერთგვარი მოუხეშაობა ჯარისკაცს სჩვევია, მაგრამ ეს უხეშობა როდია, და იგი არავის არ შეურაცხჰყოფს.

სრულიად შეუწყნარებელია საბჭოთა მეომრის ღირსების შეურაცხმყოფელი უხეშობა, რომლითაც ზოგიერთი უფროსი სცვლის მომთხოვნელობას. ლანძღვასა და შეყვირებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. უფროსი, რომელიც ასე იქცევა, ვერასოდეს ავტორიტეტს ვერ მოიპოვებს.

რაში და როგორ უნდა გამოჩნდეს მომთხოვნელობა?

სამხედრო მსახურის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში არ არის დარგი, რომელშიც უფროსის მომთხოვნელობას შეიძლებოდეს ხელი შეეშვას ანდა სულაც არ მჟღავნდებოდეს.

გაღვიძებიდან დაძინებამდე, საერთო საცხოვრებელში, კლასში, მინდვრად,—ყველგან უფროსი თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს ხელქვეითებს, ამჩნევდეს ყოველივე იმას, რაც სამხედრო სამსახურისა და სამხედრო აღზრდის მოთხოვნებს არ შეესაბამება, და დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს ამას.

ვთქვათ, ხელქვეითმა ცუდად დაიბანა ხელ-პირი;—არ უნდა დასტოვო ეს უყურადღებოდ: უნდა მიუთითო, რომ რიგიანად დაიბანოს. უფროსს არ უნდა გამოეპაროს არც ერთი წვრილმანი და სათანადო მითითება უნდა მისცეს, როცა ხედავს, რომ ხელქვეითს, მაგალითად, ღილი გახსნილი აქვს, სალამს ზოზინით იძლევა, ქამარი მოშვებული აქვს, გაუწმენდელი ფეხსაცმელი აცვია.

როცა ხელქვეითი ნელა გადარბის ან გადახტება, არ იცის, როგორ წარსდგეს მოხსენებით უფროსთან, დაბალი და გაურკვეველი ხმით ლაპარაკობს, უნდა ასწავლო და უჩვენო, თუ როგორ უნდა იქცეოდეს წესდების შესაბამისად. ხოლო ამ მითითების შემდეგ თუ კვლავ დაარღვევს იგი სამსახურის მოთხოვნებს, მკაცრად დასაჯე.

სწავლებისას თვალ-ყური ადევნე მთელს ქვეგანაყოფს, მაგრამ ეცადე შეამჩნიო ცალკეული მებრძოლების შეცდომები, ხმამაღლა და გარკვევით მიეცი შენიშვნა და გაასწორებინე შეცდომა. თუ ამ წესით ვერას გახდები, მწყობრიდან გამოიხმე და ასწავლე მანამდე, სანამ ნაკლს სავსებით არ გაასწორებს.

მოსალოდნელია, რომ მეთაურმა ვერ გაიხსენოს სწავლების რომელიმე დეტალი, კომანდა და ა. შ. ამ შემთხვევაში ყველაზე საზიანოა იმპროვიზაცია, რომელიც წესდებას ეწინააღმდეგება. ყალბი სირცხვილის გრძნობა უნდა უკუაგდო, აიღო წესდება, მონახო საჭირო განმარტება და ისე მოიქცე, როგორც წესდება მოითხოვს.

ზოგიერთი სერჟანტი და ოფიცერი შენიშვნას არ აძლევს ცალკეულ ჯარისკაცს, რომელიც შეცდომას სჩადის, რამდენჯერმე ამეორებინებს ერთსა და იმავე ილეთს მთელს ქვეგანაყოფს. ხშირად გაიგონებთ ხოლმე: „სწორედ! სმენა! —არ ვარგა! სწორედ! სმენა! არ ვარგა!“ ამას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

რატომ „არ ვარგა“? ვისი ბრალია, რომ კომანდა ცუდად შესრულდა? რატომ არ ეძლევა შენიშვნა სწორედ იმათ, ვინც შეცდომა ჩაიდინა? ხშირად უფროსი ცდილობს მიაღწიოს ილეთის ერთდროულ შესრულებას, ხოლო ვერ ამჩნევს შეცდომებს და არავითარ ღონეს არ ხმარობს სწავლების საქმის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად ხდება ხოლმე, რომ შაშხანებს „მხარზე“ თუმცა ზუსტად გაიღებენ, მაგრამ ხიშტები სხვადასხვა სიმაღლეზე აქვთ და კონდახებიც სხვადასხვა მანძილით აქვთ დაშორებული ქამრებისაგან.

ზოგჯერ უფროსი გულმოდგინედ ითვლის ნაბიჯს. წამდაუწუმ გესმის: „ერთი, ორი, სამი!“ ამავე დროს ზოგიერთი მებრძოლი ფეხაუწყობლად ნაბიჯებს, უფროსი კი ამას ვერ ამჩნევს და იმეორებს „ერთი, ორი, სამი!“

ხშირად მარშის ან მეცადინეობის დამთავრებისას, ბუნებრივი დაღლის გამო, დისციპლინა ეცემა. ამ მოვლენას არ შეიძლება შევეკიდოთ, როგორც გარდუვალ ბოროტებას და შევურიგდეთ მას. გაიხსენე, გაამხნევე მებრძოლები, დატუქსე ყველაზე უდარდელნი, მაგრამ წესრიგი აღადგინე, მწყობრი და ტემპი დაიცავ.

სრულიად უმართებულოა უნდილობა, რასაც ზოგიერთი უფროსი იჩენს საზოგადოებრივ ადგილებში, ქუჩაში, თეატრში და ა. შ. ასეთ უფროსებს ყალბი შიში აქვთ: სამხედრო ყოფაქცევის დამრღვევთ რომ შენიშვნა მიეცე, დაასწრეთ ყურადღებას იქცევენ.

სრულიადაც სავალდებულო არაა, რომ შენიშვნა ხელქვეითს ხალხში მისცე. წესრიგის დამრღვევი გაიხმე განზე და მოსთხოვე დაუყოვნებლივ აღკვეთოს ნაკლოვანებანი ჩაცმულობასა და ყოფაქცევაში.

ვერავითარი გარემოება ვერ იქნება მომთხოვნელობის შეცირების საბაბი. შენიშვნებზე პასუხად ზოგიერთი ჭარბმეტყველების მოყვარულს გასამართლებლად მოაქვს ომიანობის დროის გარემოებანი, მათთან დაკავშირებული სიძნელენი და ა. შ. მაგრამ განა ომი ყველაზე პასუხსაგები პერიოდი არ არის სამხედრო მსახურის მოღვაწეობაში? განა ომისათვის არ ემზადება ჯარისკაცი და ოფიცერი.

**ომი მოითხოვს მომთხოვნელობის არა ხელის შეშვებას, არამედ გადიდებას**, რადგან ომის ვითარებაში იქმნება ბუნებრივი სიძნელეები, რომელთა გადალახვისათვისაც საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებანი. ამ სიძნელეთა გადალახვა მით უფრო ადვილი იქნება, რაც უფრო მეტი წესრიგი დამყარდება ნაწილსა და ქვეგანაყოფში.

მომთხოვნელობა თანდაყოლილი თვისება როდია; იგი აღზრდის ან თვითაღზრდის შედეგია.

ისწავლე! გაიღრმავე ცოდნა, ზარდე გამოცდილება და ხელოვნება! და ყოველივე მოსთხოვე ხელქვეითს. არამომთხოვნელი უფროსი—უფროსი როდია, იგი ბოროტებაა ომისათვის და მას აურაცხელი ზიანი მოაქვს.

## ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში

### ნაღმსტყორცნელებო, იარაღი!

ეს სიტყვები ზარის გრგვინვასავით გაისმა ნაშუაღამევს ყაზარმის სამარისებურ დუმილში. მებრძოლებს ძილში ჩაესმათ განგაშის ამაღელვებელი ძახილი.

პირველი იყო უფრ. სერჟანტი ჯანაძე, რომელმაც ხალათის უკანასკნელი ღილი შეიკრა და თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა: „ათეული, იარაღთან!" შემდეგ გაისმა საჭურვლის გორგების ძუნწი ჩქამი. ამხ. ჯანაძის შემდეგ ყაზარმიდან გავიდა კარგად ცნობილი მემიზნე ქიტოშვილი. მას მოჰყვნენ დანარჩენები.

სამი წუთი მოუნდა ნაღმსტყორცნელთა ასეულს სავსებით გამზადებულიყო და მოედანზე მარცხენა ფლანგი დაეკავებინა. ასეული სამხედრო შემოქმედების მგზნებარე წყურვილით ელოდებოდა მეთაურის ბრძანებას განგაშის შემდეგ.

სერჟანტი **რ. ჯაფარიძე.**

### საუკეთესო მსროლელი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა მებრძოლი ამხ. ტყემალაძე ჩარიცხულ იქნა ლეიტენანტ კეჩერიავენკოს ქვეგანაყოფში.

ამხ. ტყემალაძე პირველივე დღიდან დიდი ინტერესით ეკიდებოდა სროლის საქმეს. გულმოდგინე მუშაობით იგი მოკლე ხანში იმდენად გაიწაფა, რომ ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევის სასროლოდ გამზადებას ვერავინ ასწრებდა.

ამას წინათ ამხ. ტყემალაძემ ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევის ზუსტი სროლით სამიზნე გაანადგურა, ამოცანა ფრიადზე შეასრულა. ქვეგანაყოფის მეთაურმა ლეიტენანტმა კეჩერიავენკომ მას მადლობა გამოუცხადა.

ახლა ამხ. ტყემალაძე, რომელიც საუკეთესო მსროლელია, ეხმარება ჩამორჩენილ ამხანაგებს.

**დ. მეტონიძე.**

### კმაყოფილნი არიან

მზარეული ს. გოგოშიძე მებრძოლთა კვების საქმეს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება. იგი დაუღალავად ზრუნავს, რომ მებრძოლებს დაწესებული ნორმები სრულად ეძლეოდეთ. მის მიერ დამზადებული საჭმელი ყოველთვის გემრიელია.

მებრძოლები კმაყოფილნი არიან ამხ. გოგოშიძის მუშაობით.

ხემდევი **შ. მაისურაძე.**



კომკავშირელი არტილერისტები ლუტიძე და მესროპიანი ემზადებიან საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შესასვლელად. ფოტო კ. კრიმსკიასი.

# კომუნისტების იდეური აღზრდა

კომუნისტების **იდეური** აღზრდა პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ უბანზე სერიოზული ნაკლოვანებანი გვქონდა. ზოგიერთი კომუნისტი არასაკმაოდ ზრუნავდა თავისი პოლიტიკური ცოდნის ამაღლებაზე, ხოლო პარტიული ორგანიზაცია ამას ურიგდებოდა.

ბატალიონის პირველსავე პარტიულ კრებაზე ყურადღების ცენტრში იყო კომუნისტთა იდეური აღზრდის საკითხი.

კრების შემდეგ თვენახევარმა გაიარა. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში?

ჯერ-ერთი, ჩვენ გადაჭრით ვებრძოდით თვითდინებას და ორგანიზაციულად გავაფორმეთ კომუნისტთა პოლიტიკური განათლება. ჩვენ მოვაწყეთ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელი წრე, რომელშიც კომუნისტებთან ერთად ყველაზე მომზადებული უპარტიო უმცროსი მეთაურებიც მეცადინეობენ. უფრო ნაკლებად მომზადებული კომუნისტებისათვის, რომლებიც ახლახან არიან მიღებულნი პარტიაში, და მებრძოლთათვის, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შესასვლელად ემზადებიან, მოწყობილია საკ. კ. პ. (ბ) წესდებისა და პარტიული მშენებლობის საკითხთა შემსწავლელი წრე. პარტიის ისტორიის მოკლე კურსის დამოუკიდებლად შემსწავლელი აქტივისათვის პერიოდულად ეწყობა კონსულტაციები და კოლექტიური საუბრები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია თეორიული კონფერენციების მოწყობა ცალკეულ საკითხებზე.

იგულისხმება, რომ წრეების შექმნით მხოლოდ დავიწყეთ დიდი მუშაობა. მთავარი ამოცანა ის არის, რომ კომუნისტებს შევაყვაროთ დამოუკიდებელი მუშაობა თავისი ცოდნის ასამაღლებლად, შევაყვაროთ დაკვირვებული მუშაობა ლიტერატურაზე და პოლიტიკური თვითგანათლების დარგში.

ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ დავალებათა უნარიან განაწილებასა და მათს ხასიათზე. საყურადღებოა კომუნისტის, ლეიტენანტ ქოქოსაძის მაგალითი. იგი დიდიხანია დამოუკიდებლად სწავლობს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს", ბეჯითად მუშაობს სამამულო ომის გამოცდილების ასათვისებლად. ამის მიხედვით ბატალიონის პარტიულმა ბიურომ ამხ. ქოქოსაძეს დაავალა დაემზადებინა და წაეკითხა მთელი რიგი მოხსენებანი ზოგადპოლიტიკურ და სამხედრო თემებზე. მან მრავალი ლიტერატურა წაიკითხა, საჭირო მასალა შეარჩია გაზეთებიდან და კონსპექტი შეადგინა.

ამას წინათ ამხ. ქოქოსაძემ საინტერესო მოხსენებები წაიკითხა: „კომუნისტების როლი სამამულო ომში", „ორი წელი საბჭოთა კავშირის სამამულო ომისა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ". ეს მოხსენებანი გაკეთებულ იქნა კვალიფიციურად, თემის ღრმა **ცოდნით** და ამიტომ მათ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვეს პირადს შემადგენლობაში. თვითონ ამხ. ქოქოსაძეც მოხსენებისათვის მზადების დროს ბევრ ახალ მასალას გაეცნო, გონების არე გაიფართოვა და ახალი ცოდნა შეიძინა.

ასეულთა პარტორგებისა და კომორგებისათვის, აგრეთვე მათი მოადგილეების, ძირეული აგიტატორების, კედლის გაზეთებისა და საბრძოლო ფურცლების რედაქტორებისათვის პერიოდულად ვაწყობთ სემინარებს, რომლებზეც პრაქტიკული საკითხების გარჩევასთან ერთად აქტივს ვაცნობთ მიმდინარე მომენტის ახალ ამბებს, ვეხმარებით სწორად გაერკვეს აქტუალურ ზოგადპოლიტიკურ საკითხებში. ამ სემინარებზე მოხსენებებს აკეთებენ ბატალიონის მეთაური ამხ. ზაბურმიძე, ბატალიონის პარტორგი ამხ. ტორონჯაძე და ნაწილის სხვა პოლიტმუშაკები.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ასეთი სემინარები დიდ დახმარებას უწევენ აქტივს მათს იდეურ ზრდაში, ეხმარებიან აქტივისტებს მართებულად მოაწყონ პირადი შემადგენლობის პოლიტიკური აღზრდა.

ცხადია, ზემოჩამოთვლილი ღონისძიებანი სრულიადაც არ გამორიცხავენ სხვა ფორმებსა და მეთოდებს კომუნისტთა იდეური აღზრდის საქმეში. ჩვენი პარტორგანიზაციის მოღვაწეობა მხოლოდ დასაწყისია, რაც გულმოდგინედ უნდა განვაგრძოთ.

ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში
კაპიტანი **ვ. კვარაცხელია.**

პარტორგის ტრიბუნა

## როგორ მოვიპოვებთ ავტორიტეტს

მეტყვიამფრქვევე ასეულის პარტორგად რომ დამნიშნეს, მე ვფიქრობდი მალე მოვიპოვებდი სიყვარულსა და პატივისცემას მებრძოლებში. მართლაც, პარტიული მუშაობის გამოცდილება მაქვს,—ვმსჯელობდი მე,—ადამიანის გულისნადების მიხვედრა შემიძლია, და ეს სავსებით საკმარისია, რომ წარმატებით ვიმუშაო მეთქი.

მაგრამ ნამდვილად სულ სხვა რამ გამოვიდა. რამდენიმე დღემ განვლო და მე ვიგრძენი, რომ ჯერ კიდევ ვერ გავმხდარიყავ მასების ნამდვილი წინამძღოლი. მებრძოლები თითქმის არ მომმართავდნენ შეკითხვებით, არ მოდიოდნენ, რომ მომთათბირებოდნენ და რჩევა-დარიგება მიეღოთ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მაშინ დამებადა ასეთი აზრი: საჭიროა უმოკლეს ხანში დავეუფლო ჩემი ასეულის მებრძოლთა სამხედრო სპეციალობას, თვითონ გავხდე დახელოვნებული მეტყვიამფრქვევე. ტყვიამფრქვევს რომ სრულყოფილად შევისწავლიდი, უფრო მალე მოვიპოვებდი ავტორიტეტსა და ნდობას მეტყვიამფრქვევე მებრძოლებში. ყოველ თავისუფალ წუთს გულმოდგინედ ვსწავლობდი დაზგის ტყვიამფრქვევის მატერიალურ ნაწილს, ამ იარაღის სროლის ტექნიკას. მაგრამ ესეც არასაკმაოდ მეჩვენებოდა. კომუნისტი და მით უფრო პარტორგი საბრძოლო სწავლის ავანგარდში უნდა იყოს. სისტემატური წვრთნით ტყვიამფრქვევის ჩინებული სროლა ვისწავლე.

ამან ერთბაშად ამამაღლა მეტყვიამფრქვევეთა თვალში. მებრძოლებმა ჩემთან მოსვლას სულ უფრო და უფრო მოუხშირეს; უკვირდათ, როგორ შევძელი ასე მალე იარაღის დაუფლება, ჩიამბობდნენ, თუ რა სიძნელეებს ხვდებოდნენ სწავლის პროცესში, და დახმარებასა და რჩევას მთხოვდნენ.

ცხადი იყო, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მებრძოლები სამხედრო საქმის საუკეთესო ცოდნას. ამიტომ გადავწყვიტე მიმეღწია იმისათვის, რომ ასეულის ყველა კომუნისტი თავისი იარაღის ოსტატი გამხდარიყო. შევკრიბე ისინი და ამოცანად დავუსახე, რომ სწავლის ფრიადოსნები გამხდარიყვნენ. კომუნისტები დიდი ხალისით გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას და მუშაობა გააჩაღეს, მთელ თავისუფალ დროს სწავლას ანდომებდნენ. ხშირად მე თვითონ ვამეცადინებდი მათ, ვუხსნიდი და პრაქტიკულად ვუჩვენებდი, თუ როგორ უნდა მოეპოვებინათ ჩინებული შედეგი ტყვიამფრქვევის სროლაში.

ახლა ასეულის ყველა კომუნისტი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. მებრძოლებს ისინი მოწინავეებად მიაჩნიათ და დიდი პატივისცემით ეკიდებიან. ისინი ხშირად მიმართავენ კომუნისტებს ამა თუ იმ გაუგებარი საკითხის განმარტებისათვის და მეტწილად სწორსა და საზრიან პასუხს იღებენ.

ჩემი დავალებით კომუნისტები ეხმარებიან ჩამორჩენილებს. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევენ კომუნისტები ახალი შევსების მებრძოლებს. კომუნისტები გაჯიევი და ტოვმასიანი ახალმოსულ მებრძოლებს ამხ. ნელეპეს, მაზაევსა, გულმედოვსა და გუდიევს დაეხმარნენ ტყვიამფრქვევის მატერიალური ნაწილის შესწავლაში. მათი გულმოდგინების, ყურადღებისა და მზრუნველობის წყალობით ახალგაზრდა მებრძოლებმა მოკლე ხანში შეისწავლეს იარაღი, დაზგის ტყვიამფრქვევის დაშლა და აწყობა.

პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მებრძოლთათვის მოეწყო რამდენიმე ლექცია და მოხსენება სამხედრო საკითხებზე. დიდი ინტერესი გამოიწვიეს ისეთმა ლექციებმა, როგორიცაა: სუვოროვის „გამარჯვების მეცნიერება", „მეტყვიამფრქვეველთა გამოცდილება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში", „სატანკო და საავიაციო შეტევის შესახებ". მებრძოლებმა მრავალი ძვირფასი ცნობა მიიღეს, რაც მათ გამოადგებათ არა მარტო სწავლის პროცესში, არამედ საომარ ვითარებაშიც.

მებრძოლთა მხედრული გაწვრთნილობის ამაღლებისაკენ არის მიმართული კომუნისტ აგიტატორთა მთელი მუშაობა. მაგალითად, აგიტატორ კაპანაძის ერთ-ერთი საუბარი, რომელიც განსაკუთრებით მოეწონათ მებრძოლებს, მიეძღვნა გერმანელთა ტანკებთან ბრძოლის გამოცდილებას და მეტყვიამფრქვევეთა ამოცანებს. აგიტატორმა ისე მოხერხებულად ააგო საუბარი, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღებინა ყველა მებრძოლს.

კომუნისტების მუდმივმა ზრუნვამ მებრძოლთა მომზადების ამაღლებისათვის, კონკრეტულმა და პრაქტიკულმა დახმარებამ მათდამი, კომუნისტების პირადმა მაგალითმა ხელი შეუწყეს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას ავტორიტეტი მოეპოვებინა ასეულის მებრძოლებსა და მეთაურებში. ბევრი მათგანი მთელი არსებით მიისწრაფვის კომუნისტური პარტიის რიგებში შესასვლელად. მარტო ამ უკანასკნელ ხანს საკ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ განცხადება შემოიტანა 17 კაცმა. ყველა ისინი საბრძოლო სწავლის ფრიადოსნები არიან. ეს გასაკვირველიც არაა, რადგან ჩვენი ასეულის პირადი შემადგენლობის 92 პროცენტი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია.

ასეულის პარტორგი
**ფომენკო.**

თამარ კაცილაშვილი

# სამი ძმა



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): მიხეილი, ვალერიანი და ამბროსი ლლონტები.

ვფიცავთ, ვაჟკაცურად, ღირსეულად და სახელოვნად დავიცავთ ჩვენ სამშობლო, არ დავიშუროთ ჩვენი სისხლი და სიცოცხლეც კი მტრებზე სრული გამარჯვების მისაღწევად! —შეჰფიცა სამმა ძმამ, სამმა გულადმა ვაჟკაცმა ვალერიანმა, ამბროსიმ და მიხეილ ლლონტებმა სამშობლოს, რომელიც ბრძოლისაკენ იწვევდა მათ.

ძნელი იყო ბრძოლისათვის გახელებული ვაჟკაცების ზურგში ყოფნა. ამიტომ იყო, რომ ასე ძლიერ აღაფრთოვანა ძმები ამბროსი და მიხეილი მათი ფრონტისაკენ გაგზავნის ბრძანებამ, ვალერიანს კი თბილისის ბერიას სახელობის სამხედრო კომისრის თანამდებობაზე მოუსწრო ომმა.

დასავლეთის ფრონტზე ჩაება ბრძოლაში ის ნაწილი, რომლის შტაბის უფროსიც მაიორი მიხეილ ლლონტი იყო. არაერთი რთული ოპერაცია შეასრულა ამ ნაწილმა.

— სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს! —შესძახებდნენ ხოლმე ნაწილის მებრძოლები და მუსრავდნენ ცოფიანებს.

აი, მათი ბრძოლების დამახასიათებელი ერთი ეპიზოდი.

მიუხედავად უდიდესი ზარალისა, მტერი წინ მოიწევდა. ჩვენები ელტოდნენ და უკუაგდებდნენ გერმანელთა ურდოებს. მათ მარცხენა ფლანგზე უამრავ ძალებს მოუყარეს თავი. ბრძოლამ დაძაბული ხასიათი მიიღო. ჩვენმა სარდლობამ გადასწყვიტა მტრის ზურგში შეჭრილიყო და ელვისებური დარტყმით გაენადგურებინა იგი.

დიდი წინააღმდეგობანი უნდა გადაელახა ჩვენს ჯარებს, რომ მტრის შეუმჩნევლად, ღამის სიბნელეში, უგზო ადგილას ახალი პოზიციები დაეკავებინა მტრის ზურგში.

იერიში გათენებისას დაიწყო. ძლიერმა და მოულოდნელმა დარტყმამ მოწინააღმდეგის ზურგში დიდი არევ-დარევა გამოიწვია. ამით ისარგებლა ჩვენმა ნაწილმა და მტრის დივიზია მთლიანად გაანადგურა.

ამ საომარ მოქმედებას ხელმძღვანელობდა შტაბის უფროსი მაიორი მიხეილ ლლონტი, რომელიც სარდლობამ ამ ოპერაციის შესანიშნავად შესრულებისათვის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში გაგზავნა ცოდნის გასაღრმავებლად. ამის შემდეგ პოდპოლკოვნიკ მიხეილ ლლონტს ნიშნავენ № გვარდიის კორპუსის შტაბის უფროსად.

მტერი კავკასიას ეპოტინებოდა. ბრძოლა მის მისადგომებთან გაფთრებულ ხასიათს ღებულობდა. და მჭმუნვარებდნენ კავკასიონის მხცოვანი მწვერვალები.

ახლა, არ შეგარცხვენს შენი შვილი, ქართველო დედავ!

„ეჰა, მამულო! შენის ტრფობის
ძალსა ღვთიურსა,
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს
ამლევს ურდლურსა,
ოდეს შენდამი სიყვარული
დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს
ჰკლავს შენს სიყვარულში“.

ჩასძახოდა მეომრებს დიდი პოეტის მესაიდუმლე ილია ჭავჭავაძის სიტყვებს. და მართლაც სამშობლოს სიყვარულმა სალ კლდედ აქცია ისინი, როდესაც კავკასიის კართან მდგომ № ქალაქს მტერი თავდაცვის ხაზის გარღვევით ემუქრებოდა.

მაშინ გვარდიის იმ ნაწილმა, რომლის საბრძოლო ოპერაციებს მიხეილ ლლონტი ხელმძღვანელობდა, ბრძანება მიიღო გაემაგრებინა თავდაცვა და შეეჩერებინა მტრის ახალი ძალებით შევსება, მოესპო მტრის დივიზია, რომელიც ჩვენს თავდაცვაში იყო შემოჭრილი.

ეს ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შესრულებული. ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა. ამ ბრძოლაში ფაშისტების ორი დივიზია იქნა განადგურებული.

გვარდიის ამ კორპუსს შეუპოვარმა ბრძოლებმა დიდება და სახელი მოუხვეჭეს. იგი ახლაც ფრონტის მოწინავე ხაზზეა და დაუნდობლად მუსრავს მტერს.

გვარდიის შენაერთის შტაბის უფროსის პოლკოვნიკ მიხეილ ლლონტის საბრძოლო დამსახურებათა შესახებ მკაფიოდ მეტყველებენ წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები, რომლებიც ვაჟკაცს მკერდს უმშვენებენ.

ამ დოკუმენტების გამო გენერალ-მაიორ ტიხონოვმა ამას წინათ მისალოცი წერილი გამოუგზავნა მიხეილის ძმას ვალერიან ლლონტს. ძმის წარმატება და გენერალ-მაიორ ტიხონოვის ეს მილოცვა თბილისის ბერიას სახელობის რაიონის სამხედრო კომისარს — პოდპოლკოვნიკ ვალერიან ლლონტს უფრო მეტი თავდადებული შრომისათვის აღაფრთოვანებს. მასაც სანიმუშოდ აქვს დაყენებული ფრონტისათვის ახალი შევსების დროულად მიწოდება და საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლების საბრძოლო გაწვრთნა.

მესამე ძმა, სერჟანტი ამბროსი ლლონტიც, შესანიშნავი მეომარია. მას ბევრჯერ შეხვედრია საძულველ ჰიტლერელებთან ხელჩართული ბრძოლა. მაგრამ თავგანწირულ მებრძოლს მტრის ტყვიამ ვერაფერი დააკლო. ის სამჯერ დაიჭრა. ახლაც ჰოსპიტალში წევს და მოუთმენლად ელის განკურნებას, რომ გაათკეცებული ძალით კვლავ ეკვეთოს მტერს.

ასე იბრძვიან უდრეკი ძმები — ლლონტები, საბოლოო გამარჯვების რწმენით აღჭურვილები.

# საბჭოთა საქართველოში

## ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის 5 აგვისტოს ბრძანებას ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლების შესახებ, საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ამ ბრძანებასთან დაკავშირებით, ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა საწარმოებსა და საკოლმეურნეო სოფლებში. მუშა-მოსამსახურენი და კოლმეურნენი აცხადებდნენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ გერმანელ ოკუპანტთა საბოლოო განადგურებისათვის, უფრო კარგად იმუშავებენ, უფრო მეტ პროდუქციას მისცემენ ფრონტს.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში მოწვეულ მიტინგზე სტახანოველმა ოსტატმა ი. ჯორჯაძემ განაცხადა, რომ თავდადებული შრომით უპასუხებს წითელი არმიის ახალ გამარჯვებას. მან ვალდებულება იკისრა აგვისტოს საწარმოო გეგმა 112 პროცენტით შეასრულოს.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ფაბრიკის კოლექტივი მიმდინარე წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 10.000 მეტრ ქსოვილს, დაამზადებს 2 ტონა ძაფს, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას 10 პროცენტით და 0,5 პროცენტით შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

გორის საკონსერვო ქარხანაში საამქროს ცვლის ინჟინერმა ნ. ავსაჯანაშვილმა ცვლის მუშათა სახელით ვალდებულება იკისრა აგვისტოს გეგმა 120 პროცენტით შეასრულოს. სტახანოველმა ო. ბლაგერდაშვილმა იკისრა აგვისტოს საწარმოო დავალება 200 პროცენტით შეასრულოს. ასეთივე ვალდებულებები იკისრეს სხვა მოწინავე მუშებმაც.

ამხანაგ სტალინის ბრძანების პასუხად ტყიბულქვანახშირის საუკეთესო ადამიანები სტალინურ ვახტზე დგებიან. ვახტზე დადგნენ ორდენოსანი მაღაროელი ვ. ტაბიძე, ს. ლეპერაძე, ტ. ნანიკაშვილი და სხვ.

დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მესამე ბრიგადამ იკისრა წლის გეგმის გადამეტებით დასთესოს 6 ჰექტარი თავთავიანი კულტურები, ბოლო ბოსტნეულის თესვის გეგმა ერთიორად შეასრულოს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ბრძანებამ პატრიოტული გრძნობის ახალი აზვირთება გამოიწვია. — ორიოლისა და ბელგოროდის განთავისუფლება, განაცხადა აკად. ს. ჯანაშიამ, — მთელს მსოფლიოს ერთხელ კიდევ დაანახვებს, რომ საბჭოთა კავშირი უფრო ძლიერია, ვიდრე ფაშისტური გერმანია. ჩვენი ჯარები ზაფხულშიც ისე ანადგურებენ ჰიტლერელთა ურდოებს, როგორც ზამთარში. — აკადემიის მუშაკები სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო გააღრმავებენ მეცნიერულ მუშაობას, რათა მეტი დახმარება გაუწიონ წითელ არმიას.

საქართველოს მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ მოიპოვონ კიდევ უფრო უკეთესი საწარმოო მაჩვენებლები. ისინი მთელ თავის ძალ-ღონეს მოახმარენ საბჭოთა მიწა-წყლის განთავისუფლებას ჰიტლერული სიბილწისაგან.

ალ. თურძია.

# ლაკადის მხარე

ელვარე დღეა.

ლაკადის სოფლებისაკენ მივემართები. ბავშვობისას არაერთხელ მივლია ამ გზით. ცოცხლდებიან წარსული ტკბილი მოგონებანი. დღეს მაინც სხვა სიხარულს განვიცდი, უფრო სხვაგვარად მეჩვენება გარემო. უფრო მიმზიდველად მეჩვენება ხეობები, მწვანით შემოსილი მთის ფერდობები, სადაც აქა-იქ ჩაბუდრებულან თეთრი ქვითკირითა და ყვითელი კრამიტით გადახურული ლამაზი კოპწია ოდები.

სოფელ საჯიჯაოში ვარ. მზის მარჯვენით გადაფენილ ლამაზად მოქცეულ თემშარას. ღია სივრცეში ვაჯერდით. წარმტაცად დაფენილია მიდამო. მთის ფერდობებს პლანტაციებით შეხვევია აქოჩრილი ჩაის ბუჩქები.

ეს არის დიდი ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

ეს კოლმეურნეობა 1929 წ. დააარსეს საჯიჯაოელმა გლეხებმა. ნიკოლოზ მარჯვენით ამართეს ლენინის დროშა და თავმჯდომარედ ერთპირად აირჩიეს ძველი ბოლშევიკი, 18—19 წლებში პარტიზანული რაზმის მეთაური ამხ. ფილე შონია. მას შემდეგ ფილე დაუღალავად მუშაობს, ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, ნიმუშიანად უძღვება საქმეს.

ამხ. ფილეს ვაჟიშვილები სამამულო ომში ჰყავს, თავად მოხუცებულია, შავი არც კი ურევია წვერულვაშში, და ისეთი მკვირცხლი თვალებით გამოიყურება, რომ არც ერთ ჭაბუკს არ ჩამოუვარდება.

ფილე და მე ვზივართ განიერად ტოტებგაშლილი, ახოვანი რცხილის ჩრდილში და ტკბილმოსასმენი ხმით მესაუბრება:

„...ჩვენი კოლმეურნეობის მრავალი წევრი წავიდა ჰიტლერელებს ებრძვის, მაგრამ ომამდელი გეგმებისათვის არაფერი დაგვიკლია. პირიქით — უფრო მოვუმატეთ, — ფრონტელთა ოჯახებისათვის დასახმარებლად ფართობი ცალკე დავამუშავეთ. ჩაის კრეფის გასული თვეების გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ. წლევანდელი მოსავალი უდანაკარგოდ და დროულად იქნება აღებული“... ფილეს ამ საუბარს ვუსმენდი, როცა დასავლეთის მხარეზე, ფართობის ბოლოში, გამოჩნდნენ მოხუცი მამაკაცები, ქალები, ქალიშვილები, მოზარდები. ეს კალათებითა და გოდრებით შეიარაღებული კოლმეურნეები აედევნენ ჩაის აქოჩრილ ბუჩქებს. მცირე ხნის შემდეგ საამური ხმით შესძახეს შესანიშნავი მეგრული სიმღერა „ჩქიმ ლაპერანტი ბერია“. ვუსმენ ამ სიმღერას და შევჩერებ ჩაის ნორჩ ყლორტებზე ამუშავებულ თითებს.

ჩვენი სამშობლოს დასავლეთ მხარეში ფიცხელი ომია. ვერაგი მტერი უკან იხევს. სახელოვანი წითელი არმია ყველა ფრონტზე წინ მიიწევს, იმარჯვებს!..

აქაც ფრონტია — შრომის ფრონტი. აქაც იბრძვიან და იმარჯვებენ ზურგში დარჩენილი ადამიანები. ერთპირად გამოვიდა დიდი და პატარა, თვით ღრმა მოხუცებიც კი, რომელთაც ომამდე არ ამუშავებდნენ. მათ შეცნობილი აქვთ სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობა, შეცვალეს ომში წასულები.

ვერაფერი დაუდგება წინ ერთპირად დარაზმულ ხალხის ძალას. ეს კარგად იციან საჯიჯაოელმა კოლმეურნეებმა. ამიტომ მუშაობენ ასე გატაცებით, ასე ერთგულად: მამაკაცებიდან — ბ. თირქია, კ. ნარსია, ს. ქაჯაია, ქ. გოგია; ქალებიდან — მ. კვარაცხელია, ა. ოსხავა, თ. შონია.

— ესენი არიან ჩვენი კოლმეურნეობის ბურჯები. ამათ იმედით არ შევრცხვებით ფრონტზე მებრძოლი ამხანაგების წინაშე. მათ ბავშვებს რომ ჰკითხო შემოაკლდეთ, თვალი სადღა გაახილონ! — ღიმილით ამბობს ამხ. ფილე შონია — ძველი მებრძოლი ბოლშევიკი...

მტკიცეა, მტკიცე ჩვენი ზურგი!

პოლიო აბრამია.

# საზღვარგარეთ

## ინგლისის ავიაციის თავდასხმა მანჰაიმსა და ლიუდვიგსჰაფენზე

**ლონდონი**, 10 აგვისტო. (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით 9 აგვისტოს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა მოახდინეს გაძლიერებული თავდასხმა გერმანიის ქალაქებზე — მანჰაიმსა და ლიუდვიგსჰაფენზე. რაინის ორივე ნაპირზე ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა.

სხვა შენაერთებმა დაბომბეს რურში მდებარე სხვადასხვა ობიექტები.

გამანადგურებელი ავიაციის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის აეროდრომებზე და რკინიგზებზე საფრანგეთსა და ჰოლანდიაში.

## საომარი მოქმედება კუნძულ სიცილიაზე

**ლონდონი**, 10 აგვისტო. (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარები განაგრძობენ წინ წაწევას ფრონტის ყველა უბანზე.

ინგლისის მერვე არმიის ნაწილები იმყოფებიან 45 კილომეტრზე მესინიდან. მოკავშირეთა ავიაციამ გუშინ დაბომბა გზების კვანძები მესინის რაიონში, სატრანსპორტო კოლონები და სხვა ობიექტები მტრის ზურგში.

მოკავშირეთა ფლოტი ხელს უწყობს რა სახმელეთო ძალების მოქმედებას, ურტყამს მოწინააღმდეგეს სანაპირო რაიონებში.

ამერიკის სამხედრო გემებმა 7 აგვისტოს ღამით გადასხეს ჯარები მოწინააღმდეგის პოზიციების ზურგში.

პ/მგ. რედაქტორი ი. ლავრუშვილი
პ/მგ. რედ. მოადგ. ვ. დარასელი

რედაქციის მისამართი: ПОЛЕВАЯ ПОЧТА 33175с —164261